# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N/849 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

**„2016 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი)" ცვლილების წერილ-შეთანხმების" საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და ნ. გაგუას დანიშვნის თაობაზე**

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის $2^{4}$ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „2016 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი)" ცვლილების წერილ-შეთანხმება".

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ წერილ-შეთანხმებაზე, საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო

და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები: გიორგი კაკაურიძე და ნიკოლოზ გაგუა.

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**